ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 11

2025 წლის 30 აპრილი

ქალაქი ახალციხე

,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების, მათი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების, ჯარიმის გადახდის, გასაჩივრებისა და სააღსრულებო ფურცლის გამოწერის წესის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 სექტემბრის N 18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების, მათი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების, ჯარიმის გადახდის, გასაჩივრებისა და სააღსრულებო ფურცლის გამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 სექტემბრის N 18 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 28/09/2023, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.138.016514) და აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1-ის:

1. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უფლებამოსილი პირი სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელებისას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 43^1, 43^2, 55^2 მუხლის, 55^6 მუხლის, 77^1 მუხლის, 77^2 მუხლის, 103 მუხლის, 119^1 მუხლის, 125-ე მუხლის მე-8, მე-13-მე-16 ნაწილების, 125^4 მუხლის, 134^1 მუხლის, 135 -135^1 მუხლების, 146^1 მუხლის, 148-ე მუხლის (გარდა მე-3 ნაწილის), 150-ე მუხლის, 150^1 მუხლის, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 151^2 მუხლის, 152-ე მუხლის, 152^2 მუხლის, 152^5 -152^9 მუხლების, 153^4 მუხლის, 156^1 მუხლის, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 159-ე მუხლის, 159^1 მუხლის, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენის მიზნით, უფლებამოსილია კალენდარული წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება.''

2. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. უფლებამოსილი პირი საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ავსებს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 43^1, 43^2, 55^2 მუხლის, 55^6 მუხლის, 77^1 მუხლის, 77^2 მუხლის, 103-ე მუხლის, 119^1 მუხლის, 125-ე მუხლის მე-8, მე-13-მე-16 ნაწილების, 125^4 მუხლის, 134^1 მუხლის, 135 -135^1 მუხლების, 146^1 მუხლის, 148-ე მუხლის (გარდა მე-3 ნაწილის), 150 მუხლის, 150^1 მუხლის, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 151^2 მუხლის, 152-ე მუხლის, 152^2 მუხლის, 152^5 -152^9 მუხლების, 153^4 მუხლის, 156^1 მუხლის, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 159-ე მუხლის, 159^1 მუხლის, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილი პირი, აქვს ზემოხსენებული მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების ადგილზე დადების უფლება, თუ სამართალდარღვევა არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას და აღნიშნულს ითვალისწინებს კანონი.''

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლომიძე